დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. მარი ფალელაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
3. მზია კიპაროიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5. ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6. ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
7. მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
10. ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209468823

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	გლდანი I მ/რ ანგია ბოჭორიშვილის ქ.57
ფაქტობრივი მისამართი	გლდანი I მ/რ ანგია ბოჭორიშვილის ქ.57
საფოსტო ინდექსი	0167
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilis39@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	247263

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 05 სექტემბრის MES 7 23 0001081269 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 12-13 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის	დაწყებითი საფეხური	**ქართული ენა**	**გლდანი I მ/რ ანგია ბოჭორიშვილის ქ.57**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;			
2.	ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საფეხური	**ქართული ენა**	**გლდანი I მ/რ ანგია ბოჭორიშვილის ქ.57**
3.	ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საფეხური	**ქართული ენა**	**გლდანი I მ/რ ანგია ბოჭორიშვილის ქ.57**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის MES 7 23 0001081269 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის თვითშეფასების განაცხადი, თანდართული დოკუმენტაცია და დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა, დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია და ჩატარდა გასაუბრება სკოლის დირექციასა და პერსონალთან, ხოლო საგნობრივმა ექსპერტებმა პედაგოგებთან გასაუბრება წარმართეს დისტანციურ ფორმატში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **2000**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სრულ შესაბამისად შეფასდა:

- **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ყველა დასაქმებულის ცნობების მოპოვება.*
ინდიკატორი N 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის გაწმენდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით 2024 წლის 15 ნოემბრამდე.* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით 2024 წლის 04 ოქტომბრამდე.*
ინდიკატორი N 3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით, 2024 წლის 15 ნოემბრამდე.*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 4.2.3.2	*სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ფსიქოლოგისა და ენისა და მეტყველების თერაპევტის დასაქმება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით 2023 წლის 31 დეკემბრამდე.*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (მე-5 და მე-6 კლასები)*	• *სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლდეს შერჩეული კომპლექსური დავალების სრული პირობა და შეფასების კრიტერიუმები.*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი N2.1.2..1	*ქართული ენა და ლიტერატურა*	• *მიზანშეწონილია, კურიკულუმის ჩარჩოს დანართების სახით სრულყოფილად იქნას წარმოდგენილ შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობა და კრიტერიუმები.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	• *სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლდეს შერჩეული კომპლექსური დავალების სრული პირობა და შეფასების კრიტერიუმები.*
ინდიკატორი 2.1.2.4	*საზოგაოებრივი მეცნიერებები*	• *მასწავლებლებმა შეფასების რუბრიკები დახვეწონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, გაითვალისწინონ თითოეული სავალდებულო თემის შედეგები.*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2..1	*ქართული ენა და ლიტერატურა*	• *მიზანშეწონილია, კურიკულუმის ჩარჩოს დანართების სახით სრულყოფილად იქნას წარმოდგენილ შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობა და კრიტერიუმები.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	• *სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლდეს შერჩეული კომპლექსური დავალების სრული პირობა და შეფასების კრიტერიუმები.*
ინდიკატორი N2.1.2..1	*ქართული ენა და ლიტერატურა*	• *მიზანშეწონილია, დოკუმენტაციაში აისახოს ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით შემუშავებული მე-11 კლასის კურიკულუმი დანართებით.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სკოლის მიერ გაცხადებული მისია ორიენტირებულია მოზარდი თაობა ჩამოაყალიბოს წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედ, სიახლის შეცნობის მსურველ და მიზანდასახულ მოქალაქეებად, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოქალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მომავლის ხედვაა შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება, არაფორმალური განათლება და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. სკოლა აღნიშნულ პირობების შექმნას მიიჩნევს მნიშვნელოვნად კონკურენტუნარიანი და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის. **(შეესაბამება)**

2. მისიაში ხაზგასმულია, რომ სკოლა მნიშვნელოვნად მიიჩნევს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენისა და განვითარების ხელშესაწყობად. ამისათვის ხედვაში გაცხადებულია სკოლის მიზანსწრაფვა მშობელთა ჩართულობის, არაფორმალური განათლებისა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებისაკენ, რაც მიუთითებს, რომ საკუთარ როლს განსაზღვრავს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **(შეესაბამება)**

3. სკოლის ხედვასა და ღირებულებებზე მუშაობა წარიმართა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული საინიციატივო ჯგუფის მიერ, რომელიც შედგებოდა დირექტორის, დირექტორის მოადგილეების, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისაგან. საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებების გამოსაკვეთად, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. **(შეესაბამება)**

4. სკოლის ფილოსოფიის გაზიარებისათვის გამოყენებული იყო სკოლის სტენდი, ვებ-გვერდი, მშობელთა კრებები, პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სამეურვეო საბჭოს სხდომა. გარდა ამისა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, სკოლას გაზიარების მექანიზმებად განსაზღვრული აქვს ელ. ფოსტა, სოციალური ქსელი და საჯარო განხილვა. **(შეესაბამება)**

5. ინფორმცია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ განთავსებულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სკოლის ფოიეში და ვებ გვერდზე skolebi.emis.ge-ის სკოლის შესაბამის გვერდზე. **(შეესაბამება)**

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ბრძანება მისიის, ხედვისა და ღირებულებებზე და სტრატეგიულ განვითარების გეგმაზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფის შექმნის შესახებ, 19.05.2023
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N1, 04.09.2023
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N2, 04.09.2023
- skolebi.emis.ge - სსიპ - ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის გვერდი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია ის პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება, აგრეთვე, მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების/გაზიარების/დამტკიცების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესს, სტრატეგიული გეგმის ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესს.

დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები: დირექტორი მიერ შემქნილი სამუშაო ჯგუფი და სასკოლო საზოგადოება (დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწაავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები). სამუშაო ჯგუფი შედგება სასკოლო სააზოგადოების წარმომადგენლებისაგან. სამუშაო ჯგუფის ბრძანებით განისაზღვრება ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო, უფლებამოსილების ვადა და სხვა საკითხები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში ასახვას.

ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ სკოლა განახორციელებს SWOT ანალიზს, რომელზე დაყრდნობით შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. N39 საჯარო სკოლის 2023-2030 წლების შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის სხდომაზე. გეგმაში განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლის მხარდაჭერის გაძლიერება, ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება დაყოფილია რამდენიმე ამოცანად.
დოკუმენტაციის შესწავლითა და დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება მისიასა და ხედვას, შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნის შესაბამის ამოცანებს. **(შეესაბამება)**
3. თბილისის N39 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია დირექტორის მიერ, განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. გეგმა მოიცავს პერიოდს სექტემბრიდან აგვისტოს ჩათვლით. დოკუმენტის შესწავლით დასტურდება, რომ იგი ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. **(შეესაბამება)**
4. ერთწლიან გეგმაში სტრატეგიული მიზნების შესაბამისად ასახულია ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ N02/355. 08.09.2023
- 2023-2030 წლების შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, 08.09.2023 წ.
- 2023-2024 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს, მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ მონიტორინგს განახორციელებს სამეურვეო საბჭო. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. განსაზღვრულია პერიოდულობა - ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. საბოლოოდ კეთდება განხორციელებელი მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე თითოეული აქტივობის შესრულება ფასდება და ივსება სპეციალური (მეთოდოლოგიის დანართი N1) ცხრილი. **(შეესაბამება)**
2. მეთოდოლოგიის თანახმად, როგორ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნის, ისე მათი მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოების აზრის შესწავლა/კვლევა გათვალისწინებულია ყოველწლიურად. **(შეესაბამება)**
3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. **(შეესაბამება)**
4. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა იყენებს შუალედური შეფასების დროს SWOT ანალიზს, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს იკვლევს სასკოლო საზოგადოების აზრს, აფასებს სამოქმედო გეგმის შესრულებას და მიღებული შედეგების საფუძველზე შეაქვს ცვლილებები სამოქმედო გეგმაში. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ N02/355. 08.09.2023
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლა ფუნქციონირებს 2005 წლის 15 სექტემბრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №448 ბრძანების საფუძველზე. წესდების შესაბამისად მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სკოლის საშტატო ნუსხა მოიცავს: დირექტორი, დირექტორის 2 მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი და მასწავლებლები. აგრეთვე, სახელმწიფოს დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულებს: სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 5 დამლაგებელი, 3 დარაჯი, სსსმ პირის 11 ასისტენტი, ცეცხლფარეში.

დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“; განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასაქმებულთათვის (დირექტორი, მოადგილეები, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სსსმ პირის ასისტენტი, ცეცხლფარეში, დარაჯი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი). **(შეესაბამება)**

2. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული/თანამდებობრივი ინსტრუქციებით გადანაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. გასაუბრებით დადასტურდა, რომ დასაქმებული პირებისათვის მკაფიოა მათთვის დაკისრებული მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან წარმართვას. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო ნუსხა
- N39 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ, 11.09.2023
- სკოლის წესდება
- შრომითი ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესის, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებისა და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო საათებს, დასვენების ხანგრძლივობას, შრომის ანაზღაურების გაცემის დროსა და წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, შრომის პირობების დაცვის წესებს, წახალისებებისა და პასუხისმგებლობებისა სახეებსა და გამოყენების წესებს, მატერიალურ პასუხისმგებლობას, საჩივრის/განცხადების განხილვის წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებსა და ჩაცმულობის წესს. **(შეესაბამება)**

2. სკოლაში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. მიმდინარეობს თანამშრომელთა მუშაობაზე დაკვირვება და საჭიროებების გამოვლენა. სკოლის დირექცია, საჭიროებების შესაბამისად, უზრუნველყოფს პერსონალის მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მიერ ხდება უფლება-მოვალეობების დელეგირება გონივრულ ფარგლებში. თითოეული თანამშრომელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში მათი შესაძლებლობისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენებით. **(შეესაბამება)**

3. სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. ობიეტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპი დაცულია. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით გამოიცემა ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმები.

პერსონალის შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლაში დასაქმებულთა ყველა პირის პირად საქმეში წარმოდგენილი არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები. არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულოს ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ და პედაგოგიური საქმიანობის/საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დანართები: ცნობები ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულოს ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ და პედაგოგიური საქმიანობის/საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ. ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კვლავ მიმდინარეობს ოთხი დასაქმებულის ცნობების მოპოვების პროცესი - წარმოდგენილია მომსახურების სააგენტოში გაკეთებული შესაბამისი განაცხადის მადასტურებელი დოკუმენტები ცნობის დამზადების მოთხოვნის შესახებ. აქედან გამომდინარე, კომპონენტი ფასდება მეტწილად შესაბამისად, ხოლო სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ყველა დასაქმებულის ცნობების მოპოვება.**

4. სკოლაში დასაქმებულია 114 თანამშრომელი. მათგან 85 პედაგოგი (მათგან 11 წამყვანი, 72 უფროსი, 3 მოწვეული, 5 სპეციალური მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის 7 ასისტენტი. სპორტის პედაგოგთან გაფორმებულია 2022 წლის 17 იანვარს კონკურსის გზით კადრის შერჩევამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა 6 დასაქმებულის პირადი საქმე.

ექიმის პირად საქმეში წარმოდგენილია უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და მხოლოდ ცნობა სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად სკოლაში დასაქმებულ ექიმს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი. სკოლამ მიმართა ცნობის გამცემ დაწესებულებას მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დანართები: 6 დასაქმებულის პირადი საქმე; აგრეთვე, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს კორესპონდენცია, რომელიც ადასტურებს რომ ექიმი ფლობს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებას საექიმო საქმიანობაში „პედიატრია“.**

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდურობის პრინციპს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოების, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედაგოგიური საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს, მუშაობის ამსახველი მასალები. აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. კათედრის წევრები ჩართულები არიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დაწესებულების დეკლარირებულ ღირებულებებს შორისაა თანამშრომლობა. **(შეესაბამება)**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, განსაზღვრულია წახალისების წინაპირობები და ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, 20.09.2023
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- საშტატო განრიგი
- დასაქმებულთა პირადი საქმეები
- Emis ბაზა
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- კათედრების ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, შექმნილია და დებულების შესაბამისად მოქმედებს პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. უწყვეტად მიმდინარეობს თანამშრომელთა მუშაობაზე დაკვირვება და საჭიროებების გამოვლენა. სკოლის დირექცია, საჭიროებების შესაბამისად, უზრუნველყოფს პერსონალის მხარდაჭერას.
სკოლა თანამშრომლებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ. მასწავლებლები გადიან სტატუსის შესაბამის სავალდებულო ტრენინგებს. სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში. **(შეესაბამება)**
2. სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი აფასებს მასწავლებლებს, გამოკვეთავს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს და შემუშავებული სამოქმედო გეგმით ახორციელებს მასწავლებელთა მიზნობრივი განვითარების პროცესს, რაც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: საჭიროებების დადგენა, საქმიანობების გეგმის შემუშავება, პერსონალის პროფესიული გადამზადება, შეხვედრების ორგანიზება და რეკომენდაციების გაცემა. სკოლა გეგმავს უფრო მასშტაბური და ინტენსიური გახდეს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა და მოიცვას სკოლის მთელი პერსონალი. **(შეესაბამება)**
3. სკოლა მხარს უჭერს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას. თანამშრომლებს დროულად ეცნობებათ სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგების შესახებ ინფორმაცია; 2023 წელს სკოლის ოთხმა პედაგოგმა მოიპოვა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. **(შეესაბამება)**
4. სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლიც ნაწილია დასაქმებულთა ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან. სკოლას ასევე აქვს პრაქტიკა, მასწავლებლის მომზადების პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებს შესთავაზოს პედაგოგიური პრაქტიკა. სკოლის მასწავლებელი - ტუტორი სათანადო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დახმარებას უწევს სტუდენტს/ებს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაში. **(შეესაბამება)**

5. ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების ინიციატივებს და ეხმარება მათ სკოლის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების/პროექტების განხორციელებაში. ამ მიმართულებით სკოლაში სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობებია: კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები, კონფერენციები, საკლასო ღონისძიებები და სხვ. გაკვეთილებზე ახალი მეთოდების, ინტეგრირებული გაკვეთილების თუ ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი სასწავლო რესურსების და ა.შ. დანერგვის მიზნით, პედაგოგები ხშირად მიმართავენ ხარისხის მართვის ჯგუფს, სასწავლო ნაწილს, დირექტორს ინიციატივით. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება
- პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა რეგულაციებით; მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის დებულება. სასწავლო პროცესის ხარისხიანად მიმდინარეობის უზრუნველყოფაში ჩართულია სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული და მათი ქმედებები მიმართულია სკოლის მისიისა და მიზნების შესრულებისკენ.
საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ციკლურად: ერთობლივი დაგეგმვა, დანერგვის პროცესში თვითდაკვირვება, ურთიერთდაკვირვება, შეხვედრებზე რეკომენდაციების გაცემა, ხარვეზებზე ინტერვენციების ძიება და ა. შ. მიმდინარეობს პროცესზე დაკვირვების მონიტორინგი. სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ საგნობრივი კათედრების მიერ. მიღწეული შედეგების შეფასება, დასკვნების გაკეთება პრობლემების გამოკვეთის მიზნით და მის მოგვარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. კათედრებზე გამოიკვეთება და ტარდება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები. განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის დანერგვაზე პასუხიმგებელი პირები, რომლებიც მონიტორინგის ჯგუფთან ერთად ხელს შეუწყობენ სკოლის განვითარებას. **(შეესაბამება)**

2. სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა აქტების შესაბამისად: სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და სხვა შიდა დოკუმენტების შესაბამისად. **(შეესაბამება)**

3. 2023 წლის 11 სექტემბერს დამტკიცებულია „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი". დოკუმენტში აღწერილია განცხადებისა და საჩივრის მიღების წესი და განხილვის ვადები, საჩივრის განხილვის წესი დისციპლინური წარმოებისას, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი. სკოლაში ნებისმიერ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი პირი/სტუქტურული ერთეული. აღნიშნული რეგულაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. **(შეესაბამება)**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლა ამ პროცესებს წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ კანონის, წესდების, მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. შექმნილია საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისტემა დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს სახით. მოსწავლის, მშობლისა და პერსონალის უფლებები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებაში, მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაში, გასაჩივრების პროცედურებში, სასკოლო სასწავლო გეგმაში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი, 08.09.2023
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N17, 08.09.2023
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, 2020
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით შედგენილი ზოგიერთი დოკუმენტი (მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი გეგმა, შინაგანაწესი, გასაჩივრების პროცედურები, ინიციატივის მხარდამჭერის წესი და სხვ.) საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე, ღია კარის დღეებზე, აგრეთვე, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით (გვერდი და საკომუნიკაციო ჯგუფები სოციალურ ქსელში). სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის კითხვარები. **(შეესაბამება)**
2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში; ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, მათი ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; წარმოებს კოლეგიური ორგანოების მუშაობის ამსახველი ოქმები, რომელიც ადასტურებს მათ ქმედით მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Skolebi.emis.ge
- სკოლის საინფორმაციო დაფა
- საკომუნიკაციო ჯგუფები სოციალურ ქსელში
- კითხვარი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალირებისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ

- სკოლას აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ; წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შემუშაავებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (07.08.2023). დასკვნაში აღნიშნულია, რომ „სკოლის შენობის (პირველი და მეორე ფლიგელები და გადასასვლელი) ტექნიკური მდგომარეობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიუხედავად არსებული დაზიანებებისა, ძირითადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო.“ შენობები ექსპლუატაციისათვის ვარგისია, მაგრამ აუცილებელია, რომ უახლოეს პერიოდში, ფასადებიდან განხორციელდეს აშრევებული ნალესის ჩამოყრა შემდგომი აღდგენით.“ დასკვნაში აღნიშნულია, რომ „სკოლის შენობაზე (პირველი და მეორე ფლიგელები), შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის, მომავლში საჭიროა ჩატარდეს გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაიზრდება, ხოლო სართულიანობასთან მიმართებით რეკომენდებულია, რომ პირველი ფლიგელის მეოთხე სართულზე განთავსდეს სასწავლო ლაბორატორიები, ასევე გამოყენებული იქნეს სამეურნეო დანიშნულებით.“ **(დანართი N1 - ექსპერტიზის დასკვნა)** სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მყისიერი რეაგირების შესახებ თხოვნით. **(დანართი N2 - წერილი)**

- სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. (შეთანხმების წერილი - 02.10.2023). დამტკიცებულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა.
- <u>სკოლას არ აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.</u> (გაგაზავნილია წერილი შესაბამის ორგანოსთან) **(დანართი N3 - წერილი)**
- უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი (განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, რომელიც მოწყობილია ერთობლივი ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად). სკოლაში დასაქმებულია ერთი ექიმი. ექიმის კვალიფიკაციის მტკიცებულებად წარმოდგენილია უმაღლესი განათლების დამადასტურებლი დიპლომი პედიატრის სპეციალობით და მხოლოდ ცნობა მასზედ, რომ ჩააბარა სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა პედიატრიის სპეციალობით. არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სერტიფიკატი, რომელიც დეტალურად აღწერს მის მოქმედების ვადას.
- სკოლის შიდა სივრცეში, აგრეთვე გარე პერიმეტრზე, მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებზე, დასაწყობებული იყო ძველი სასკოლო ინვენტარი. **(არ შეესაბამება)**

❖ **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან გაგზავნილი კორესპონდენცია, რითაც მიმართავს განათლებისა და მეცნიერების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამინისტროსთან შუამდგომლობის თხოვნით სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივებისა და მცირეფასიანი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერის თაობაზე თანხმობის მისაღებად.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის გაწმენდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით 2024 წლის 15 ნოემბრამდე.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით 2024 წლის 04 ოქტომბრამდე.

2. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალირებისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ

- სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით“.
- სკოლას ჰყავს 4 მანდატური და 2 დარაჯი; წარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვა. ბრძანებით განსაზღვრულია ვიზიტორთა აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი.
- სასწავლო პროცესის დროს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე საზოგადოებრივ წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე მეთვალყურეობას ახორციელებენ მანდატურები, სკოლის დირექცია და მორიგე მასწავლებლები. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობისათვის დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები. **(შეესაბამება)**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. დირექცია ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად სწორედ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას მოიაზრებს. სკოლაში წახალისებულია ისეთი აქტივობები და პროექტები, რომლებიც ამ მიმართულებით მოსწავლის ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს. სადამრიგებლო პროგრამების მთავარი მიმართულებაა მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და მხარდაჭერა. სკოლაში განხორციელებული სასკოლო პროექტი „ტოლერანტობა“ ერთ-ერთ მიზნად ისახავდა სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლა თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის ცენტრთან. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური პიროებების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებენ სკოლის ექიმი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის დასაქმებულია 5 დამლაგებელი. **(შეესაბამება)**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის მქონე უფლებამოსილი პირები და მათი უფლებამოსილებები.

მონაცემები ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (ESCHOOL). მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გასაჯაროებამდე ხდება მშობელთა თანხმობის მოპოვება. აღნიშნულ ასპექტს ითვალისწინებს მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებასა და ინფორმაციის დაცულობაზე პასუხისმგებელია დამრიგებელი. როგორც დამრიგებლებს, ისე მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება. სკოლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები და მატერიალური ჟურნალები ინახება სკოლის არქივში. **(შეესაბამება)**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა მონაცემების ნაწილი ინახება სკოლის სივრცეში, კარადებში, რომლების იკეტება და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ინფორმაცია ასევე ინახება ისეთ ელექტრონული სისტემებში როგორებიცაა ESCHOOL, EFLOW, ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი. მოცემული სისტემებიდან სხვადასხვა სეგმენტზე წვდომა მხოლოდ ადმინისტრაციის კონკრეტულ წარმომადგენლებსა და პედაგოგებს აქვთ. **(შეესაბამება)**

7. სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების პერიოდული შეფასება. შექმნილია და ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შემუშაავებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (07.08.2023) დანართი N1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- წერილი საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ, 02.10.2023
- საგანგებო მართვის გეგმა, 12.09.2023
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, 27.09.2023
- ბრძანება საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ, 12.09.2023
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, 22.02.2021 ბრძანება 01/კ-08
- **დანართი N1, დანართი N2, დანართი N3**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თბილისის N39 საჯარო სკოლის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, დასახლება გლდანში, მიკრო რაიონი I ნაკვ. 06/007 (უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, არსებობის ვადით 15608 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები N1, N2 (საერთო ფართით 5536.45 კვ.მ.) და N3.

სკოლა ფლობს საჭირო მატერიალურ რესურსს/სასკოლო ინვენტარს (მათ შორის, 1972 მერხს) მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისათვის. საკლასო ოთახები (რაოდენობა 36) აღჭურვილია მერხებით, საკლასო დაფებითა და კარადებით. **(შეესაბამება)**

2. სკოლის შენობა N1 ოთხსართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია ისტ ლაბორატორია, რესურსოთახი, ექიმის ოთახი, 7 საკლასო ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები.

მეორე სართულზე მდებარეობს 10 საკლასო ოთახი, რესურსოთახი, საქმისმწარმოებლის ოთახი, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის, სველი წერტილები პერსონალისათვის.

მესამე სართულზე განთავსებულია 9 საკლასო ოთახი და სამასწავლებლო. მეოთხე სართულზე განთავსებულია 10 საკლასო ოთახი.

სკოლის შენობა N2 ორსართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი. ოთახი ბუფეტისათვის, აგრეთვე ოთახები, რომელიც ამჟამად არის საერეაბილიტაციოა და გამოიყენება დასაწყობებისათვის. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა.

სკოლის ეზოში მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ქცევის წესები და უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა კაბინეტებში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით. **(შეესაბამება)**

3. სკოლის N1 შენობაში ადაპტირებულია მხოლოდ პირველი სართული. შესაბამისად ეტლით მოსარგებლე პირებისათვის არ არის ხელმისაწვდომი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტურქტურის განვითარების სააგენტოსთან გაგზავნილი კორესპონდენცია (15.11.2023) სკოლაში ინკლუზიური გარემოს მოწყობის მიზნით.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის დაცვით, 2024 წლის 15 ნოემბრამდე.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კერძოდ, სკოლაში არის ფართო და ნათელი დერეფნები, სააქტო დარბაზი, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი, დიდი ფართობის ეზო მოსასვენებელი ადგილებით. აღნიშნული სივრცეები მრავალფეროვანი სასკოლო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

5. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით 3034. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. მოწყობილია სამკითხველო.

სკოლაში მოწყობილია შესაბამისად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- აზომვითი ნახაზი
- ბრძანება ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ, 11.09.2023
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, 11.09.2023
- ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა ფლობს 65 კომპიუტერს; მათგან 26 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში - 19 ლეპტორი, რესურს ოთახებში განთავსებულია 2 პერსონალური კომპიუტერი, 2 ლეპტორი და 3 პრინტერი. სხვა დირექციისა და ადმინისტრაციის სარგებლობაშია. სკოლას 14 პროექტორი, 10 პლანშეტი, 1 ციფრული აპარატი და 10 პრინტერი. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი განსაზღვრავს IT ლაბორატორიით სარგებლობის წესებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფლობის დოკუმენტაცია
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, 11.09.2023

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი, რომელიც ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს, ვრცელდება ყველა სახის დოკუმენტაციაზე. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.
დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში არსებობს საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები. სკოლაში დასაშვებია დირექტორის გადაწყვეტილებით შეიქმნას სხვა სახის სარეგისტრაციო ჟურნალები. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლას აქვს ელ. ფოსტა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. დოკუმენტაცია შემოსვლის დღესვე იტვირთება სისტემაში და შესაბამისის ნომრით ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. **(შეესაბამება)**

3. სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც შევსებულია სრულყოფილად. **(შეესაბამება)**

4. სკოლა დროულად/კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებსა და თანამშრომლობს მათთან. სკოლა დროულად აწვდის უკუკავშირს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ, 04.09.2023
- საქმისმწარმოებელის შრომითი ხელშეკრულება
- სარეგისტრაციო ჟურნალები
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) შესაბამისი გვერდის, სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალურ ქსელში შექმნილი საკომუნიკაციო ჯგუფებისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი. **(შეესაბამება)**
2. სკოლის საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომლიც თანახმად სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საინფორმაციო მენეჯერთან და მიაწოდოს მას ზუსტი ინფორმაცია დაგეგმილი/ჩატარებული აქტივობების შესახებ. გავრცელებლი ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი გადამოწმება. **(შეესაბამება)**
3. სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მოქმედებს „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომლითაც გაცხადებულია, რომ დაწესებულების ხარისხის შიდა მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება საკომუნიკაციო არხები, რომელზეც მოხდება სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული დაწესებულების საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას. **(შეესაბამება)**
4. სკოლას აქვს ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **(შეესაბამება)**
5. სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, საკონტაქტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Skolebi.emis.ge
- ბრძანება ინფორმაციის საჯაროობაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, 11.09.2023

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის წლიური ბიუჯეტი განხილულია და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლა ფინანსდება ბიუჯეტიდან. აგრეთვე, შემოსავალს იღებს ეკონომიკური საქმიანობიდან (დამატებითი მომსახურება, იჯარის ხელშეკრულება). **(შეესაბამება)**
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ფინანსურ ანგარიშს. ბუღალტერი, ყოველი თვის დასაწყისში, წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წერილობით ანგარიშს წინა თვის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- ბუღალტერთან გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც აღწერიალია მოსწავლის ვალდებულებები, დამტკიცებულია „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“, რომელშიც ასახულია ზოგადი განათლების კანონით გარანტირებული უფლებები. **(შეესაბამება)**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალობისა და გაზიარების უზრუნველსაყოფად კლასის დამრიგებლები აცნობენ წესებს მოსწავლეებსა და მშობლებს, ხოლო დოკუმენტი გამოკრულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, სკოლის ფოიეში და განთავსებულია skolebi.emis.ge შესაბამის გვერდზე. **(შეესაბამება)**

3. ყველა მშობელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, 13.09.2023
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, 11.09.2023
- მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები, 13.10.2023
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი. დოკუმენტი არის მკაფიო და კანონმდებლობის შესაბამისი. **(შეესაბამება)**
2. ვიზიტის პერიოდში, შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა რამდენიმე მოსწავლესთან დაკავშირებული წარმოება. დადასტურდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. **(შეესაბამება)**
3. სკოლის გვერდზე skolebi.emis.ge ასახულია ინფორმაცია სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ. სკოლის სივრცეში, საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინოდ არის განთავსებული სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები, სასკოლო სასწავლო გეგმა. **(შეესაბამება)**
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, 13.09.2023
- Skolebi.emis.ge
- Eschool.ge
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- მოსწავლის ჩარიცხვის, კლასის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, შესაბამისად მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა, რისთვისაც გაწერილ აქტივობებს შორისაა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა, სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამმჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება. სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. **(შეესაბამება)**
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლის დაწყების პირველ დღეს ეწყობა საზეიმო დახვედრა. საგანგებოდ ეწყობა დაწყებითი კლასებისა და პირველკლასელთა საზეიმო მიღება. აღნიშნულ დღეს დამრიგებლები ასაკის შესაბამისი აქტივობებით ხვდებიან მოსწავლეებს. **(შეესაბამება)**
3. სკოლის ერთწლიან გეგმაში ერთ-ერთი ამოცანაა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა, შესაბამის აქტივობად იდენტიფიცირებულია დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა. გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ორიენტირებულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებასა და დროულ მხარდაჭერაზე. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლისგან მოსწავლე იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, სემესტრული გამოცდის დანიშნვნის პროცედურა და საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში სკოლის მიერ მოსწავლისათვის კონსულტაციებისათვის გაწევის შესაძლებლობა, შინ სწავლების მექანიზმი. **(შეესაბამება)**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლა ჩართული იყოს „Word vision“ -ის პროექტში. პროექტის ფარგლებში მოსწავლეების მიერ მოიხატა ქიმიის ლაბორატორია. სკოლა ჩართულია „USIAD დაწყებითი განათლების პროგრამაში“. შექმნილია მოსწავლეთა კლუბი „კომუნიკატორი“, რაც მათ თავიანთი ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. **(შეესაბამება)**

6. მოსწავლეთა ინიციატივები მხარდაჭერილია სკოლის დირექტორისა და მოადგილეების მიერ. ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილული იყოს შეხვედრის ფორმატში. მოსწავლემ ინიციატივა შეიძლება გამოავლინოს ინდივიდუალურად ან მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელშეწყობით. მას შეუძლია ზეპირად/წერილობით მიმართოს სკოლის დირექციასა და/ან მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლა ვალდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს. სკოლა იყენებს შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების მექანიზმებს.

სკოლაში დამტკიცებულია „ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები“. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, 13.10.2023
- მოსწავლეთა კლუბის დებულება
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მომსახურებას სკოლა მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით. სადამრიგებლო პროგრამის ნაწილია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის შესახებ გაკვეთილები. მოსწავლეებს პროფესიების შესახებ ესაუბრებიან დამრიგებლები. **(შეესაბამება)**

2. კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს საბაზო და საშუალო განათლების საფეხურების დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **(შეესაბამება)**

3. ამ მიმართულებით მუშაობას სკოლა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით წარმართავს. სკოლა გეგმავს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით შეთავაზებულ მომსახურებას მისცეს მეტად ორგანიზებული სახე და შეაფასოს გაწეული მომსახურება პერიოდულად. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა“ 2023-2024 სასწავლო წლისათვის; გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების პერიოდები. სკოლაში მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი. სკოლა ჩართული იყო დაწყებითი განათლების ინკლუზიური განათლების პროგრამაში. **(შეესაბამება)**
2. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 27 სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის მქონე მოსწავლე. სკოლაში დასაქმებული იყო 4 სპეციალური მასწავლებელი და სსსმ მოსწავლის 7 ასისტენტი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს. შექმნილია და აქტიურად მუშაობს ისგ ჯგუფები. ჯგუფის წევრთა სწრაფი კომუნიკაციისათვის და რესურსების გაზიარებისათვის გამოიყენება თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები (სასაუბროები).

მულტიდისციპლინური დასკვნების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 14 სსსმ მოსწავლე, დასკვნის საფუძველზე, საჭიროებს ფსიქოლოგს, ხოლო 2 მოსწავლე - ენისაა და მეტყველების პედაგოგს. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ფსიქოლოგისა და ენისა და მეტყველების პედაგოგის შტატი. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა დასაქმებული პირები საშტატო განრიგით გათვალისწინებულ, აღნიშნულ, პოზიციებზე. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს; სკოლა ვერ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წინსვლასა და მხარდაჭერას. **(არ შეესაბამება)**

- **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დანართები: ფსიქოლოგისა და ენისა და მეტყველების პედაგოგის პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსიის შესახებ ბრძანებები და საკონკურსო კომისიის ოქმი. წარმოდგენილი საკონკურო კომისიის ოქმით ირკვევა, რომ ფსიქოლოგის პოზიციაზე კონკურსი ჩაიშალა კონკურსანტების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. სკოლას განთავსებული აქვს ფსიქოლოგისა და ენისა დამეტყველების თერაპევტის ვაკანსიები ვებგვერდზე teachersjobs.ge.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ფსიქოლოგისა და ენისა და მეტყველების თერაპევტის დასაქმება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, ბრძანება N02/397, 19.09.2023
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- სსსმ მოსწავლეთა პირადი საქმეები

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება „გახანგრძლივებული სწავლება“. **(შეესაბამება)**

2. მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.

სკოლასა და მოსწავლის მშობლის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის საგანია მოსწავლისათვის გახანგრძლივებული წრის სახით დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა. აღნიშნული მომსახურების გაწევა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, ნებაყოფლობითია და რეგულირდება მომსახურების მიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, სწავლების ღირებულება და ანაზღაურების პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის პიროებები. მომსახურება მიმართულია მოსწავლის განვითარებისაკენ და იცავს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **(შეესაბამება)**

3. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას სკოლა იცავს უსაფრთოხების ზოგადად არსებულ ნორმებს. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გახანგრძლივებული სწავლებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი**	**▌ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი -

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ერთი მხრივ სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილს აღწერს, მეორე მხრივ კი ასახავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად - სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა შედეგების, მასწავლებლების საქმიანობის თვითრეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. პროცესების ავთენტურობის შესახებ სკოლა ეყრდნობა გამოკითხვებს, ფოკუს-ჯგუფებს, თვითშეფასებას. რევიზიის ნაწილში სკოლა მოიაზრებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცვლილებების მასშტაბსაც - თემატური მატრიცების ცვლილებებიდან რაიონში სკოლების გამოცდილების გათვალისწინებით.რ ოგორც ადგილზე ვიზიტისას დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო წლის განმავლობაში ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, ინიშნავენ წარმატებულ აქტივობებს, რასაც ასახავენ თემატურ გეგმებში, ასევე აღნიშნავენ რომ კურიკულუმზე მუშაობას კვლავ აგრძელებენ. **(შეესაბამება)**

2. სასკოლო კურიკულუმი ასახავს სკოლის მისიას,ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენას, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, მიზანდასახულ და შემოქმედ მოქალაქეებად, რომლებიც შექმნიან სამოქალაქო საზოგადოებას და შეძლებენ ინიცირებას, შეცვალონ სამყარო უკეთესობისაკენ. სკოლის ხედვა უკავშირდება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას მშობლის და სკოლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობებით, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით, არაფორმალური განათლებით. სკოლის ღირებულებები დამყარებულია როგორც განვითარებასა და ინოვაციურობაზე, ასევე თანამშრომლობაზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მათი ინტერესების გათვალისწინებას. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. მაგ: მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში თემა ციკლური პროცესები ასახულია კომპლექსური დავალება, რომლის განხორციელება სხვადასხვა აქტივობის საფუძველზე (დაკვირვება, ექსპერიმენტირება, ახსნა-მსჯელობა) მოსწავლის ინტერესებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები, რომელთა შორის ქართული ვიდეორგოლიცაა, ხელს შეუწყობს მოსწავლის დაიტერესებას. ედამიწის დღის აღნიშვნა, მოსწავლეთა გასვლითი შემეცნებითი ვიზიტები (მაგ: თავისუფალი უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მუზეუმი) . **(შეესაბამება)**

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების, მოსაზრებების, ჩანიშვნების საფუძველზე კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში.**(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook, სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფები და სასაუბრო ''ჩათები'' ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საგნობრივი ურიკულუმები ბუნებისმეტყველება 1-6
- სკოლის ფბ გვერდი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებული თემების მიხედვით აჯგუფებენ საკითხებს, განიხილავენ და აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები. მოცემული რესურსით შესაძლებელია მასწავლებელმა განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, დაინტერესოს მოსწავლე. მაგ მესამე კლასის ერთ-ერთი საგნის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა - ჩრდილების თეატრის პატარა წარმოდგენის ორგანიზება, რაც მრავალმხრივ დააფიქრებს მოსწავლეს და ხელს შეუწყობს სინათლის გავრცელების კანონზომიერებების გათვალისწინებას. პედაგოგები ასევე სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მოსწავლეებს უქმნიან ყველა პირობას იმისათვის, რომ დაინტერესდნენ და აქტუირად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში.**(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის დოკუმენტებიდან (საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებიდან) ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით არჩევენ საკითხებს, ასევე შერჩეული აქვთ შესაბამისი რესურსები. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, ზოგიერთ შემთხვევაში - მაგალითები შედარებისთვის. აღნიშნული მასალები ასაკთან შესაბამისია და იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. მაგ: მე-6 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება პროპელერის შექმნის შესახებ. მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლე შეძლებს ახალი ცოდნის კონსტრუირებას, ენერგიის სხვადასხვა ფორმებად გარდაქმნის საკითხის უკეთ გააზრებას. შეთავაზებული კონტექსტ-მაგალითები დააფიქრებს მოსწავლეს, მრავალფეროვანი რესურსები ხელს შეუწყობს საკითხის სხვადასხვა კონტექსტით გააზრებას, მოდელირება კვლევით და პრაქტიკული საქმიანობით მიიყვანს მოსწავლეს სამიზნე ცოდნამდე. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროექტში, რომლის ფარგლებშიც ინერგებოდა მრავალშრიანი სწავლების მხარდამჭერი სისტემა. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ამ პროექტის ფარგლებში აქტიურად გაეცნენ დიფერენცირებული მიდგომების, ინკლუზიური განათლების მიმართულებით სწავლების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ნერგავდენ პროექტის ფარგლებში kargi.skola.ge და chemi.skola,ge ზე განთავსებულ ასწავლო მეთოდებს და მასალებს. კათედრამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და ასევე მრავალშრიანი სისტემის მხარდამჭერი პროექტები.

დაწყებით საფეხურზე საგობრივი კურიკულუმების აგებისას სკოლას გათვალისწინებული აქვს კონსტრუქტივისტული მიდგომები. მასში გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, ამავე დროს ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ხოლო შეთავაზებული რესურსები მრავალფეროვანი და მოსწავლის ინტერესებზეა მორგებული. ეს ყველაფერი კი თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კურიკულუმები სთავაზობს მოსწავლეებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. ინტერვიუდან წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრებებიდან კი ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლის შესაძლებლობებსაც და სწორედ მასზე დაყრდნობით ხდება დავალებების ჩამოყალიბება. მაგალითად, მოსწავლეს შეუძლია პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარდგენა, იდეების ინიცირება და სხვა. სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლება სკოლაში, სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, მისი დაკმაყოფილების გზები, ინტერესები და ინდივიდუალურ შესაძლებლობები, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობა, (დრო, რესურსები, პასუხისმგებელი პირი და სხვა) , რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.სასკოლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების მომსახურეობის პირობები და სკოლის ვალდებულებები. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის დამტკიცებულ სასკოლო გეგმაში, ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა , შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტში განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. 1-4 კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. ხოლო , მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმავითარებელ შეფასებებთან ერთად იწყება განმსაზღვრელი შეფასებებიც. დაწყებითი საფეხურის (1-4 კლასები) კურიკულუმებს თან ახლავს მოსწავლის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ განმავითარებელ შეფასებას მუდმივად აწარმოებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ძირითადად ზეპირსიტყვიერად, მოცემულ რუბრიკებზე მუშაობას გააგრძელებენ , სადაც დააკონკრეტებენ შეფასების კრიტერიუმებს შერჩეულ კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში.

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა კათედრამ წარმოადგინა და გასაუბრებისას ისაუბრეს შეფასების ფორმებზე და მეთოდოლოგიაზე. წარმოდგენილი შეფასების განმავითარებელი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიადან, ასევე სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივი კათედრები აჯამებენ წლის განმავლობაში მოსწავლეების მიერ მიღწეულ შედეგებს და სწორედ ამაზე დაყრდნობით ხდება ახალი სასწავლო წლის დაგეგმვა. სკოლა ასევე ჩართული იყო ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში ,,თვითშეფასება განვითარებისთვის“. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდებოდა დიაგნოსტიკური გამოცდები როგორც მათემატიკაში, ისე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური წერების შედეგების ანალიზი, რის საფუძველზე იგეგმებოდა სამომავალო ინტერვენციები. ასევე წარმოადგინა რეფლექია და შედეგების ანალიზის შედეგად დაგეგმილი სამომავლო ინტერვენციები, როგორც მთელი კლასისათვის, ასევე კლასის მცირე ჯგუფებისათვის, კონკრეტული მოსწავლისათვის და თავისი პროფესიული განვითარების საჭიროებისათვის. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- დიაგნოსტიკური წერის ანგარიში
- კურიკულუმები ბუნებისმეტყველებაში
- კურიკულუმები მე და საზოგადოება
- კურიკულუმები ჩვენი საქართველო
- I-VI კლასების კურიკულუმების ჩარჩო მათემატიკაში
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- ვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესის იმგვარ განხორციელებაზე, რომ მოსწავლეს მიეცეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა. ამისათვის კი აქტიურად იყენებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, პროექტებს და სხვა აქტტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ამ მიმართულებით გააქტიურებას და უნარების განვითარებას. მათ მიერ საფეხურის ფარგლებში შექმნილი დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის, მოსწავლემ საკუთარი პროდუქტის შექმნით გაიაზროს რატომ და როგორ სწავლობს.
საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია ისეთი ტიპის დავალებები, რომელზე დაფუძნებითაც იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, სადაც მოსწავლე თავისუფალია გამოთქვას საკუთარი აზრი, აღმოჩენებით მივიდეს სასწავლო შედეგამდე, თავად დააგეგმაროს და მართოს სასწავლო პროცესი, კრიტიკულად გაიაზროს პროცესები, შექმნას ორიგინალური პროდუქტი, თანმიმდევრულად ააგოს ცოდნა. მასწავლებლები სასწავლო პროცესის მანძილზე ასრულებენ გზამკვლევის ფუნქციას, სთავაზობენ მოსწავლეებს შესაბამის საკითხებს, აქტივობებს, რესურსებს. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს დირექციისგან და პედაგოგებისგან გამოითქვა კლუბური და საპროექტო იდეების მიმართულებით კიდევ უფრო ძლიერი მხარდაჭერის სურვილი. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ინტერვიუებიდან ჩანს, სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ისე წარიმართება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, მოახეროს ამ ყველაფრის ტრანსფერი. მაგალითად: მე-3 კლასის კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალება, რომელიც აგებულია ზღაპარზე ,,რწყილი და ჭიანჭველა". ნაცნობ თემაზე ახალი მასალის დაშენება ამარტივებს აღქმის უნარს. ასევე ყველა ის თემა, რომელიც შერჩეულია სხვადასხვა საგნის ფარგლებში, ეხმარება მოსწავლეებს, ნაცნობ თემაზე მუშაობით შეიძინონ ახალი საგნობრივი ცოდნა და უნარები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს მტკიცებულებების სახით შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, სადიაგნოსტიკო ტესტის ნიმუშები და მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები. ყველა ამ მტკიცებულებებს და ინტერვიუებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ-დაწყებით საფეხურზე, სხვადასხვა საგნის სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გამახვილებულია ყურადღება სწავლის სწავლაზე. პედაგოგები ცდილობენ მაქსიმალურად გააქტიურონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარები. კურიკულუმებში თანდართულია მოსწავლის თვითშეფასებისათვის დასმული კითხვები, რომლებზეც პასუხები მოსწავლეს სწავლის სწავლაში დაეხმარება. ასევე, მასწავლებლების ინტერვიუდან იკვეთება, რომ კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებელი სვამს ისეთ კითხვებს, რომელიც იწვევს სამუშაოს შესახებ მოსწავლის რეფლექსიას, გააზრებას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ კარგად, როგორ წარიმართა სწავლის პროცესი, რა გამოცდილება შეიძინა, რა აღმოჩენა გააკეთა, რას შეცვლიდა ნამუშევრის ხელახლა დაწყების მომენტისთვის - მოცემული კითხვები ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლის მიერ პროდუქტის წარმოდგენისას იმ პროცესებზე, როგორ და რა გზით მიდის მოსწავლე მიზნამდე, რა ეხმარება პროდუქტის შექმნაში, რას შეცვლიდა. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფეხურის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე ყველა კლასში დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს როგორც დეკლარაციული ცოდნის მიღებას, ასევე მის გარდაქმნას პირობისეულ ცოდნად. როგორც სხვ მაგალითებიდანაც მკაფიოდ ჩანს, საკითხის გააზრება ხდება რეალური, ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული მაგალითებით. მაგალითად, მე-4 კლასში ბუნებისმეტყველების კომპლექსური დავალების წყლის ციკლის განხორციელების დროს მოსწავლეებს უწევთ პროცედურული ცოდნის გამოყენება ექსპერიმენტების დაგეგმვის, დაკვირვების (გარემოზე უშუალო დაკვირვების, ვიდეორგოლის გაანალიზების) ფარგლებში. მიღებული ცოდნა ხელს შეუწყობს საკითხის უკეთ გააზრებას (აორთქლება, გამყარება, კონდენსაცია, ლღობა, აორთქლება) და ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენებას. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასკოლო და საკლასო პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, დაეხმარება მოსწავლეს, ააგოს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნა. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმეტებიდან ჩანს, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად. გრძელვადიანი მიზნები, კონტესტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა წინარე და ახალი ცოდნის, სხვა საგნებთან კავშირისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების საშუალებას. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ისეთ აქტივობებს, რომელიც სხვადასხვა საგნობრივი ცოდნის ურთიერთდაკავშირებაში ეხმარება მოსწავლეებს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანთა ინტეგრირება და პროექტული სწავლება. მაგალითად, სკოლაში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მოსწავლეებში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების დანერგვის ფარგლებში. იმსჯელეს როგორ აემაღლებინათ ცნობიერება მოსწავლეებში მდგრადი განვითარების მიმართულებით და როგორ დაეკავშირებინათ საგნობრივ ცოდნასთან, ამ ეტაპზე დაგეგმეს და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს ამ მიმართულებით, ამ მიმართულებით გაიხსენეს, რამდენიმე სამაგალითო პროექტი და აქტივობა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- ინტეგრირებული კომპლექსური დავალება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები 1-6
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

დაწყებითი საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ინტერვიუების შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (I -VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა გაიხსენეს დავალებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს, მოსწავლეს, მიიღოს კონკრეტული ცოდნა, ასევე განაზოგადოს და განსხვავებულ კონტექსტებშიც გადაიტანოს. სკოლას აქვს მზაობა, საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შემუშავდეს კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება და დრო ეთმობა მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვას.ამმისათვის პედაგოგები გეგმავენს სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლეს, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, იმსჯელოს, გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება, გამოხატოს ემპათია, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები და დავალებამდე მისასვლელი აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრონციპია. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება ,რომელიც ასევე ემსახურება პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას. აღსანიშნავია კათედრის ჩართულობა სასკოლო პროექტში ,,ერთიანობა და მრავალფეროვნება“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით პროექტის შინაარსი და განსახორციელებელი აქტივობები შესაბამისობაშია ისეთი კომპეტენციების გააზრებასთან, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პასუხისმგებლობები, კონფლიქტების მართვა, განსხვავებულობის აღქმა და ა.შ. დაწყებით კლასებში პროექტის ფარგლებში, აქცენტი გაკეთდა ემპათიასა და თანაგრძნობის უნარის წარმოჩენაზე ქართული ლიტერატურის ჭრილში. აგრეთვე განსხვავებული შესაძლებლობების აღიარების აუცილებლობის მნიშვნელობაზე. თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. ამ და სხვა მნიშვნელოვან ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების მნიშვნელობასა და ხელშემწყობ აქტივობებზე ისაუბრეს ინტერვიუს დროს პედაგოგებმა და გაგვიზიარეს მათი გამოცდილება. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლაში მოქმედ კათედრებს წარმოდგენილი აქვთ სტანდარტის შედეგებზე მორგებული შეფასების რუბრიკები (ზეპირმეტყველების, წერითი დავალების, პროექტის...), რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კომპლექსური დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშების შემუშავებისას პედაგოგებმა გაითვალისწინეს ის, რომ შეფასება მოიაზრებს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც, ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარი. განხორციელებული სასკოლო პროექტი „ ერთიანობა და მრავალფეროვნება“ მოიცავს მოსწავლის პიროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარების აქტუალურ ასპექტებს. , ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებას შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიუების დროს კათედრებმა ისაუბრეს, რომ გეგმავენ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმების დახვეწას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს შეფასების ორივე ტიპი დანერგილი, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოში მოცემულ შეფასების რუბრიკებსაც, საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასებაც და ურთიერთშეფასებები, წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ ურთიერთშეფასებებს. სკოლას ასევე აქვს სადიაგნოსტიკო წერის და ანალიზის გამოცდილება მათემატიკასა და ქართულში, ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამის მრავლშრიანი შეფასების სისტემის მხარდაჭერის პროექტში

უცხოური ენების კათედრის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებისა და სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგები შეფასების სისტემას ხედავენ, როგორც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტს. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ იმ კრიტერიუმებს, რომლითც შეფასდება მათი ნამუშევრები. ხშირად ხდება ისეც, რომ მოსწავლეებიც მონაწილეობენ ამ კრიტერიუმების შექმნაში. კრიტერიუმები თვალსაჩინოებისთვის გამოკრულიც არის საკლასო სივრცეში, რაც მოსწავლეებს უქმნის სანდოობის და გამჭვირვალობის განცდას. პედაგოგები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ვალიდურობაზე (სწორადაა თუ არა შერჩეული შეფასების აღმწერი კრიტერიუმები); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოდგენილ რუბრიკებში გათვალისწინებულია კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მკვიდრ წარმოდგენებთან,.ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას და ობიექტურობას. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მასწავლებლები კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს,

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენების კათედრას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის შეფასების სისტემის აღწერასთან ერთად გაწერილია შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარებისას და აღდგენისას დაწესებული მოთხოვნები, გამოცდების ჩატარების ტიპები და პროცედურები, ასევე ქულების გამოანგარიშების წესები. ამავე დოკუმენტში ინტეგრირებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმიც. დოკუმენტის მიხედვით, პროცესი ‘’ შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემესტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს).კ ურიკულუმებთან ერთად მაწავლებლებმა დაწყებით საფეხურზე წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

დაწყებით საფეხურზე შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ზოგადად აღწერს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ოცემული დოკუმენტი იძლევა საშუალებას, სკოლამ დადგინოს, რამდენად სწორად არის შედგენილი და გამოყენებული შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და განმავითარებელი შეფასების ფორმები, რამდენად სწორად ახდენს სკოლა მოსწავლეების შეფასებას. მასწავლებლები ეცნობიან მეთოდური ლიტერატურის მიხედვით შემუშავებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე იყენებენ ქოუჩინგის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას. წორედ მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის გამოსავლენად იგეგმება დიაგნოსტიკური ტესტირებები და მათი ანალიზი. ეფასების ავთენტურობისათვის სკოლა მიმართავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, შესაბამისი უკუკავშირების გაცემას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიულ მხარდაჭერას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დირექცია გეგმავს, დააკონკრეტოს ვერიფიკატორები და მათი ფუნქციები სხვადასხვა პროცესის/გარემოებების დროს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 6.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი) და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები
- სადიაგნოსტიკო შეფასების ნიმუშები დაანალიზები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალები
- ადაპტირებული დავალება მათემატიკაში
- შეცვლილი კურიკულუმი მათემატიკაში
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების. **(შეესაბამება)**

2. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული წვრილმანი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძლევადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან. **(შეესაბამება)**

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). **(შეესაბამება)**

4. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;**
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგგანა წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც, მომავალ სასწავლო წელს ანალიზს გაუკეთებს სასკოლო კურიკულუმების დანერგვას, განხორციელებას და მონიტორინგს.

კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე მოხდება იმის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და რამდენად გადის სასურველ შედეგებზე. დაგეგმილია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით; დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტად კათედრას შერჩეული აქვს კომპლექსური დავალების განმავითარებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით. დიაგნოსტიკისთვის ასევე გამოყენებული იქნება მოსწავლის მხრიდან საკუთარი მიღწევების თვითშეფასების ფორმატიც. **(შეესაბამება)**

2. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების გაცემა. სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას და არა ხარვეზების მარკირებას;სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება და დანერგვა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა. **(შეესაბამება)**

3. პედაგოგები აღნიშნავენ,რომ მიმდინარე ეტაპზე კურიკულუმის მონიტორინგი/შეფასება დანერგვის ეტაპზეა, სასწავლო პროცესში ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ანალიზი, შედეგების შეფასება ხდება კათედრების დონეზე, რაც ეხმარება ეხმარება სკოლას პრობლემების მოგვარებასა და სამოქმედო მიზნების განსაზღვრაში. სამომავლოდ სკოლას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებით შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვები; კურიკულუმში წინარე წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება მოხდება ურთიერთდასწრების ანალიზებისა და შეფასების მასალების საფუძველზე; **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება საგნობრივი მიმართულებით შემუშავებული შეფასების რუბრიკები , კვლევა, დაკვირვება, შემაჯამებელილის დავალებების ანალიზი. სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ, გამოიყენოს კიდევ უფრო მრავალფეროვანი რესურსები .იგეგმება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის გაზრდა. ასევე, სხვადასხვა ხასიათის თვისებრივი, სტატისტიკური და ა.შ ანალიზის შემცველი დოკუმენტაციის წარმოება. **(შეესაბამება)**
2. სასწავლო პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტში:. ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო , დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, , ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. **(შეესაბამება)**

3. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. სკოლაში დანერგილია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება, სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას და გაძლიერებას. **(შეესაბამება)**

4. მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორების შესწავლას: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სასკოლო თუ არასასკოლო გარემო . შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▌შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილი პრაქტიკის მიხედით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების მიზნებს; სკოლას აქვს მზაობა, უკვე არსებული რეფლექსიების საფუძველზე, დოკუმენტურად ასახოს ის მიგნებები და რეკომენდაციები , რაც სკოლისთვის ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია და შეიმუშაოს ინდივიდუალური პაკეტი სამუშაო და სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებითა და რჩევებით. **(შეესაბამება)**

2. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მიმდინარე ეტაპზე მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები, კერძოდ, მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და ა.შ. სამომავლოდ აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო	**▌შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	▌შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	▌შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	▌შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	▌შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ერთი მხრივ სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილს აღწერს, მეორე მხრივ კი ასახავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად - სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა შედეგების, მასწავლებლების თვითრეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. პროცესების ავთენტურობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესახებ სკოლა ეყრდნობა გამოკითხვებს, ფოკუს-ჯგუფებს, თვითშეფასებას. რევიზიის ნაწილში სკოლა მოიაზრებს ცვლილებების მასშტაბსაც - თემატური მატრიცების ცვლილებებიდან რაიონში სკოლების გამოცდილების გათვალისწინებით. მაგ; საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმის მიხედვით, კათედრა ერთობლივად განიხილავს სამოქმედო გეგმას, რესურსებს, თემატურ მატრიცებში შესატან ცვლილებებს, რესურსებს, ღონისძიებებს. **(შეესაბამება)**

2. სასკოლო კურიკულუმი ასახავს სკოლის მისიას, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენას, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, მიზანდასახულ და შემოქმედ მოქალაქეებად, რომლებიც შექმნიან სამოქალაქო საზოგადოებას და შეძლებენ ინიცირებას, შეცვალონ სამყარო უკეთესობისაკენ. სკოლის ხედვა უკავშირდება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას მშობლის და სკოლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობებით, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით, არაფორმალური განათლებით. სკოლის ღირებულებები დამყარებულია როგორც განვითარებასა და ინოვაციურობაზე, ასევე თანამშრომლობაზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მათი ინტერესების გათვალისწინებას. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. მაგ: ქიმიის მერვე კლასის კურიკულუმში თემა - ელემენტების ორგანიზების პრინციპი მოცემულია კონტექსტ-მაგალითად ატომის პლანეტარული მოდელი, მაგალითები შედარებისათვის გამოიწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას. **(შეესაბამება)**

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების, მოსაზრებების, ჩანიშვნების საფუძველზე კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში. (**შეესაბამება)**

4. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook, სკოლის თანამშრომლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დახურული ჯგუფი და სასაუბრო ‘‘ჩათი’’ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა. (**შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმები საბაზო საფეხურზე ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიაში
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებული თემების მიხედვით აჯგუფებენ საკითხებს, განიხილავენ და აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რესურსები, კონტექტს-მაგალითები. მოცემული რესურსით შესაძლებელია მასწავლებელმა განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, დააინტერესოს მოსწავლე. მაგ. მე-8 კლასში განხორციელდა კომპლექსური დავალება- ხის ხიმაღლის გაზომვა სხვადასხვა მეთოდებით. კომპლექსურ დავალებაში კარგად ჩანს წინარე ცოდნის გააქტიურება- სამკუთხედების ტოლობის ნიშნები, ახალი ცოდნის აგება, სამკუთხედების მსგავსების ნიშნები და ამ ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ცხოვრებისეულ კონტექსტში. ინტერნეტის გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, ხის გაზომვის სხვადასხვა მეთოდების დამუშავება და გაანალიზება. ამასთან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შექმნას საბოლოო პროდუქტი მათთვის სასურველი ფორმატით- მატერიალური თუ ელექტრონული ფაილის სახით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის დოკუმენტებიდან (საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებიდან) ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით არჩევენ საკითხებს, ასევე შერჩეული აქვთ შესაბამისი რესურსები. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, ზოგიერთ შემთხვევაში - მაგალითები შედარებისთვის. აღნიშნული მასალები ასაკთან შესაბამისია და იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. მაგ: ფიზიკის მე- 7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამივე სავალდებულო თემა: ''ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები'', ''თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა,'' ''ძალა და წნევა''. შეთავაზებული კომპლექსური დავალება ხელს შეუწყობს მატერიის სტრუქტურისა და თვისებების ერთმანეთთან დაკავშირებას, ექსპერიმენტირებით და საჭირო გამოთვლებით კი დაადგენენ რა ნივთიერებისაა ნაპოვნი საგანი. მოცემული კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, ფუნქციურ -კოგნიტური უნარების განვითარებას. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუებისა და დოკუმენტების გაცნობის შედეგად შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგები განსაკუთრებულ დროოსა და ყურადღებას უთმობენ ყველა მოსწავლის ჩართვას სწავლა--სწავლების პროცესში მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით, იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს. მასწავლებლები, ხშირ შემთხვევებში, დავალების პირობის შემუშავებისას ცდილობენ, მოსწავლეს ჰქონდეს სხვადასხვა არჩევანი ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას; ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტის მრავალფეროვნებას. სწავლის პროცესი და შინაარსი ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, დავალების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლას გაწერილი აქვს შინ სწავლების მომსახურების პირობები. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის დამტკიცებულ სასკოლო გეგმაში, ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა , შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტში განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს.

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა კათედრამ წარმოადგინა და გასაუბრებისას ისაუბრეს შეფასების ფორმებზე და მეთოდოლოგიაზე. წარმოდგენილი შეფასების განმავითარებელი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიადან, ასევე სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივი კათედრები აჯამებენ წლის განმავლობაში მოსწავლეების მიერ მიღწეულ შედეგებს და სწორედ ამაზე დაყრდნობით ხდება ახალი სასწავლო წლის დაგეგმვა. სკოლა ასევე ჩართული იყო ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში ,,თვითშეფასება განვითარებისთვის". სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდებოდა დიაგნოსტიკური გამოცდები როგორც მათემატიკაში, ისე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური წერების შედეგების ანალიზი, რის საფუძველზე იგეგმებოდა სამომავალო ინტერვენციები. ასევე წარმოადგინა რეფლექია და შედეგების ანალიზის შედეგად დაგეგმილი სამომავლო ინტერვენციები, როგორც მთელი კლასისათვის, ასევე კლასის მცირე ჯგუფებისათვის, კონკრეტული მოსწავლისათვის და თავისი პროფესიული განვითარების საჭიროებისათვის. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმები ფიზიკა,ქიმია და ბიოლოგიაში საბაზო საფეხურზე
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

▌შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესის იმგვარ განხორციელებაზე, რომ მოსწავლეს მიეცეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა. ამისათვის კი აქტიურად იყენებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, პროექტებს და სხვა აქტტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ამ მიმართულებით გააქტიურებას და უნარების განვითარებას. მათ მიერ საფეხურის ფარგლებში შექმნილი დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ინტერვიუების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის, მოსწავლემ საკუთარი პროდუქტის შექმნით გაიაზროს რატომ და როგორ სწავლობს.

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია ისეთი ტიპის დავალებები, რომელზე დაფუძნებითაც იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, სადაც მოსწავლე თავისუფალია გამოთქვას საკუთარი აზრი, აღმოჩენებით მივიდეს სასწავლო შედეგამდე, თავად დააგეგმაროს და მართოს სასწავლო პროცესი, კრიტიკულად გაიაზროს პროცესები, შექმნას ორიგინალური პროდუქტი, თანმიმდევრულად ააგოს ცოდნა. მასწავლებლები სასწავლო პროცესის მანძილზე ასრულებენ გზამკვლევის ფუნქციას, სთავაზობენ მოსწავლეებს შესაბამის საკითხებს, აქტივობებს, რესურსებს. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს დირექციისგან და პედაგოგებისგან გამოითქვა კლუბური და საპროექტო იდეების მიმართულებით კიდევ უფრო ძლიერი მხარდაჭერის სურვილი. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ინტერვიუებიდან ჩანს, სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ისე წარიმართება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, მოახეროს ამ ყველაფრის ტრანსფერი. სხვადასხვა საგნის ფარგლებში, შექმნილი დავალებები ეხმარება მოსწავლეებს, ნაცნობ თემაზე მუშაობით შეიძინონ ახალი საგნობრივი ცოდნა და უნარები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს მტკიცებულებების სახით შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, სადიაგნოსტიკო ტესტის ნიმუშები და მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები. ყველა ამ მტკიცებულებებს და ინტერვიუებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ-დაწყებით საფეხურზე, სხვადასხვა საგნის სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გამახვილებულია ყურადღება სწავლის სწავლაზე. პედაგოგები ცდილობენ მაქსიმალურად გააქტიურონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარები. კურიკულუმებში თანდართულია მოსწავლის თვითშეფასებისათვის დასმული კითხვები, რომლებზეც პასუხები მოსწავლეს სწავლის სწავლაში დაეხმარება. ასევე, მასწავლებლების ინტერვიუდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იკვეთება, რომ კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებელი სვამს ისეთ კითხვებს, რომელიც იწვევს სამუშაოს შესახებ მოსწავლის რეფლექსიას, გააზრებას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ კარგად, როგორ წარიმართა სწავლის პროცესი, რა გამოცდილება შეიძინა, რა აღმოჩენა გააკეთა, რას შეცვლიდა ნამუშევრის ხელახლა დაწყების მომენტისთვის - მოცემული კითხვები ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლის მიერ პროდუქტის წარმოდგენისას იმ პროცესებზე, როგორ და რა გზით მიდის მოსწავლე მიზნამდე, რა ეხმარება პროდუქტის შექმნაში, რას შეცვლიდა. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საფეხურის ფარგელბში წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.საბაზო საფეხურის ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს როგორც დეკლარაციული ცოდნის მიღებას, ასევე მის გარდაქმნას პირობისეულ ცოდნად. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მაგალითებიდანაც მკაფიოდ ჩანს, საკითხის გააზრება ხდება რეალური, ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული მაგალითებით. დავალებები და აქტივობები კი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება ცოდნის სამივე კატეგორიას დაეუფლოს. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმეტებიდან ჩანს, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად. გრძელვადიანი მიზნები, კონტესტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა წინარე და ახალი ცოდნის, სხვა საგნებთან კავშირისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების საშუალებას. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ისეთ აქტივობებს, რომელიც სხვადასხვა საგნობრივი ცოდნის ურთიერთდაკავშირებაში ეხმარება მოსწავლეებს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანთა ინტეგრირება და პროექტული სწავლება. მაგალითად, სკოლაში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მოსწავლეებში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების დანერგვის ფარგლებში. იმსჯელეს როგორ აემაღლებინათ ცნობიერება მოსწავლეებში მდგრადი განვითარების მიმართულებით და როგორ დაეკავშირებინათ საგნობრივ ცოდნასთან, ამ ეტაპზე დაგეგმეს და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს ამ მიმართულებით, ამ მიმართულებით გაიხსენეს, რამდენიმე სამაგალითო პროექტი და აქტივობა. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგიაში საბაზო საფეხურზე
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი ეფასების რუბრიკის ნიმუშები
- მატრიცის ნიმუშები ქიმიაში
- საბაზო საფეხურის ისტორია მოქალაქეობა ,გეოგრაფიის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- საზოგადოებრივი კათედრის სხდომის ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები მუსიკა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში საბაზო საფეხურზე
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი ეფასების რუბრიკის ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საბაზო საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ინტერვიუების შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა გაიხსენეს დავალებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს, მოსწავლეს, მიიღოს კონკრეტული ცოდნა, ასევე განაზოგადოს და განსხვავებულ კონტექსტებშიც გადაიტანოს ის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.**(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება და დრო ეთმობა მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვას.ამმისათვის პედაგოგები გეგმავენს სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლეს, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, იმსჯელოს, გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება, გამოხატოს ემპათია, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები და დავალებამდე მისასვლელი აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრონციპია. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება რომელიც ასევე ემსახურება პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას. აღსანიშნავია კათედრის ჩართულობა სასკოლო პროექტში ,,ერთიანობა და მრავალფეროვნება“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით პროექტის შინაარსი და განსახორციელებელი აქტივობები შესაბამისობაშია ისეთი კომპეტენციების გააზრებასთან, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პასუხისმგებლობები, კონფლიქტების მართვა, განსხვავებულობის აღქმა და ა.შ. ამ და სხვა მნიშვნელოვან ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების მნიშვნელობასა და ხელშემწყობ აქტივობებზე ისაუბრეს ინტერვიუს დროს პედაგოგებმა და გაგვიზიარეს მათი გამოცდილება, **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლაში მოქმედ კათედრებს წარმოდგენილი აქვთ სტანდარტის შედეგებზე მორგებული შეფასების რუბრიკები (ზეპირმეტყველების, წერითი დავალების, პროექტის...), რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კომპლექსური დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშების შემუშავებისას პედაგოგებმა გაითვალისწინეს ის, რომ შეფასება მოიაზრებს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც, ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარი. განხორციელებული სასკოლო პროექტი „ ერთიანობა და მრავალფეროვნება“ მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარების აქტუალურ ასპექტებს. , ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებას შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიუების დროს კათედრებმა ისაუბრეს, რომ გეგმავენ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმების დახვეწას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს შეფასების ორივე ტიპი დანერგილი, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოში მოცემულ შეფასების რუბრიკებსაც, საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასებაც და ურთიერთშეფასებები, წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ ურთიერთშეფასებებს. სკოლას ასევე აქვს სადიაგნოსტიკო წერის და ანალიზის გამოცდილება მათემატიკასა და ქართულში, ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამის მრავლშრიანი შეფასების სისტემის მხარდაჭერის პროექტში

უცხოური ენების კათედრის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ჩანს, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგები შეფასების სისტემას ხედავენ, როგორც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტს. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ იმ კრიტერიუმებს, რომლითც შეფასდება მათი ნამუშევრები. ხშირად ხდება ისეც, რომ მოსწავლეებიც მონაწილეობენ ამ კრიტერიუმების შექმნაში. კრიტერიუმები თვალსაჩინოებისთვის გამოკრულიც არის საკლასო სივრცეში, რაც მოსწავლეებს უქმნის სანდოობის და გამჭვირვალობის განცდას. პედაგოგები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ვალიდურობაზე (სწორადაა თუ არა შერჩეული შეფასების აღმწერი კრიტერიუმები); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოდგენილ რუბრიკებში გათვალისწინებულია კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან,.ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას და ობიექტურობას. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მასწავლებლები კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს,

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენების კათედრას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის შეფასების სისტემის აღწერასთან ერთად გაწერილია შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარებისას და აღდგენისას დაწესებული მოთხოვნები, გამოცდების ჩატარების ტიპები და პროცედურები, ასევე ქულების გამოანგარიშების წესები. ამავე დოკუმენტში ინტეგრირებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმიც. დოკუმენტის მიხედვით, პროცესი '' შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემესტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს).კურიკულუმებთან ერთად მაწავლებლებმა დაწყებით საფეხურზე წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. საბაზო საფეხურზე შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ზოგადად აღწერს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ოცემული დოკუმენტი იძლევა საშუალებას, სკოლამ დადგინოს, რამდენად სწორად არის შედგენილი და გამოყენებული შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და განმავითარებელი შეფასების ფორმები, რამდენად სწორად ახდენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა მოსწავლეების შეფასებას. მასწავლებლები ეცნობიან მეთოდური ლიტერატურის მიხედვით შემუშავებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე იყენებენ ქოუჩინგის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას. წორედ მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის გამოსავლენად იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასებები და მათი ანალიზი. ეფასების ავთენტურობისათვის სკოლა მიმართავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, შესაბამისი უკუკავშირების გაცემას, პროფესიულ მხარდაჭერას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დირექცია გეგმავს, დააკონკრეტოს ვერიფიკატორები და მათი ფუნქციები სხვადასხვა პროცესის/გარემოებების დროს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 6. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი) და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება, გაკვეთილზე დაკვირვების ამსახველი მასალები
- დიაგნოსტიკური შეფასებების ანალიზის ამსახველი მასალები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალები
- კურიკულუმები საბაზო საფეხურზე
- შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრასთან ინტერვიუებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე **(სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანა წესი და სხვ.**) დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **(შეესაბამება)**

2. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი 2023-2024 სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **(შეესაბამება)**

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო **კურიკულუმები** ცხადყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. **(შეესაბამება)**

4. სკოლის შინაგგანა წესი, მასწავლებლებთან ინტერვიუ და აგრეთვე სხვა დოკუმენტცია ცხადყოფს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი და სასწავლო პროცესში პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო, მართლაც, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგგანა წესი
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▉ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც, მომავალ სასწავლო წელს ანალიზს გაუკეთებს სასკოლო კურიკულუმების დანერგვას, განხორციელებას და მონიტორინგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე მოხდება იმის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და რამდენად გადის სასურველ შედეგებზე. დაგეგმილია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით; დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტად კათედრას შერჩეული აქვს კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით. დიაგნოსტიკისთვისასევე გამოყენებული იქნება მოსწავლის მხრიდან საკუთარი მიღწევების თვითშეფასების ფორმატიც. **(შეესაბამება)**

2. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების გაცემა. სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას და არა ხარვეზების მარკირებას;სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება და დანერგვა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა.**(შეესაბამება)**

3. პედაგოგები აღნიშნავენ,რომ მიმდინარე ეტაპზე კურიკულუმის მონიტორინგი/შეფასება დანერგვის ეტაპზეა, სასწავლო პროცესში ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ანალიზი, შედეგების შეფასება ხდება კათედრების დონეზე, რაც ეხმარება ეხმარება სკოლას პრობლემების მოგვარებასა და სამოქმედო მიზნების განსაზღვრაში. სამომავლოდ სკოლას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებით შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვები; კურიკულუმში წინარე წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება მოხდება ურთიერთდასწრების ანალიზებისა და შეფასების მასალების საფუძველზე; **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება საგნობრივი მიმართულებით შემუშავებული შეფასების რუბრიკები , კვლევა, დაკვირვება, შემაჯამებელილის დავალებების ანალიზი. სკოლასაქვს მზაობა, სამომავლოდ, გამოიყენოს კიდევ უფრო მრავალფეროვანი რესურსები .იგეგმება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის გაზრდა. ასევე, სხვადასხვა ხასიათის თვისებრივი, სტატისტიკური და ა.შ ანალიზის შემცველი დოკუმენტაციის წარმოება. **(შეესაბამება)**

2. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტში:. ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო , დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. **(შეესაბამება)**

3. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. სკოლაში დანერგილია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება, სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას და გაძლიერებას. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ რომ მოსწავლეთა შეფასებისას გასათვალისწინებელია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა,სასკოლო თუ არასასკოლო გარემო . შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▌ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილი პრაქტიკისმიხედით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფიძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების მიზნებს; სკოლას აქვს მზაობა, უკვე არსებული რეფლექსიების საფუძველზე, დოკუმენტურად ასახოს ის მიგნებები და რეკომენდაციები , რაც სკოლისთვის ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია და შეიმუშაოს ინდივიდუალური პაკეტი სამუშაო და სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებითა და რჩევებით . **(შეესაბამება)**

2. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მიმდინარე ეტაპზე მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები, კერძოდ, მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და ა.შ. სამომავლოდ აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო	**▌ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	▌ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების <u>საშუალო საფეხურის</u> ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ერთი მხრივ სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგად ნაწილს აღწერს, მეორე მხრივ კი ასახავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად - სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა შედეგების, მასწავლებების თვითრეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე როგორც სწავლების შედეგების დიგნოსტირების,ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით.დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. პროცესების ავთენტურობის შესახებ სკოლა ეყრდნობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოკითხვებს, ფოკუს-ჯგუფებს, თვითშეფასებას. რევიზიის ნაწილში სკოლა მოიაზრებს ცვლილებების მასშტაბსაც - თემატური მატრიცების ცვლილებებიდან რაიონში სკოლების გამოცდილების გათვალისწინებით. მაგ; საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმის მიხედვით, კათედრა ერთობლივად განიხილავს სამოქმედო გეგმას, რესურსებს, თემატურ მატრიცებში შესატან ცვლილებებს, რესურსებს, ღონისძიებებს. **(შეესაბამება)**

2. სასკოლო კურიკულუმი ასახავს სკოლის მისიას, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენას, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, მიზანდასახულ და შემოქმედ მოქალაქეებად, რომლებიც შექმნიან სამოქალაქო საზოგადოებას და შეძლებენ ინიცირებას, შეცვალონ სამყარო უკეთესობისაკენ. სკოლის ხედვა უკავშირდება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას მშობლის და სკოლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობებით, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით, არაფორმალური განათლებით. სკოლის ღირებულებები დამყარებულია როგორც განვითარებასა და ინოვაციურობაზე, ასევე თანამშრომლობაზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მათი ინტერესების გათვალისწინებას. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა. მაგ: მოსწავლეთა დაინტერესებას გამოიწვევს ბიოლოგიის მე-11 კლასის კომპლექსური დავალების იდეები და მაგალითები შედარებისთვის, რომელზეც მუშაობის დროს მოსწავლე იპოვის გზას და საშუალებას , კიდევ უფრო საინტერესო გახდეს მისთვის სწავლის პროცესი (მაგ მაინკრაფტის პროგრამის გამოყენება, გენეტიკური ამოცანების ამოხსნა, დისკუსია გმო პროდუქტის გამო და სხვა). **(შეესაბამება)**

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების, მოსაზრებების, ჩანიშვნების საფუძველზე კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში. **(შეესაბამება)**

4. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook, სკოლის თანამშრომლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დახურული ჯგუფი და სასაუბრო "ჩათი"ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმები საშუალო საფეხურზე ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიაში
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე, ისევე როგორც დაწყებითსა და საბაზოზე, მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებული თემების მიხედვით აჯგუფებენ საკითხებს, განიხილავენ და აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, რესურსები, კონტექტს-მაგალითები. მოცემული რესურსით შესაძლებელია მასწავლებელმა განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, დააინტერესოს მოსწავლე. მაგ. მე-10 კლასში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება- სკოლის შენობის სიმაღლის გაზომვა სხვადასხვა მეთოდებით. კომპლექსურ დავალებაში კარგად ჩანს წინარე ცოდნის გააქტიურება- ფიგურათა მსგავსება, სამკუთხედის მსგავსების ნიშნები, ახალი ცოდნის აგება, და ამ ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ცხოვრებისეულ კონტექსტში. გაზომვის სხვადასხვა მეთოდების დამუშავება და გაანალიზება. ამასთან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შექმნას საბოლოო პროდუქტი მათთვის სასურველი ფორმატით- მატერიალური თუ ელექტრონული ფაილის სახით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის დოკუმენტებიდან (საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებიდან) ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით არჩევენ საკითხებს, ასევე შერჩეული აქვთ შესაბამისი რესურსები. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, ზოგიერთ შემთხვევაში - მაგალითები შედარებისთვის. აღნიშნული მასალები ასაკთან შესაბამისია და იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. სახელმწიფო ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ მე-11კლასის კურიკულუმიც ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით. ათედრას მიეცა რჩევა, რომ ეს დოკუმენტიც აისახოს საფეხურის დოკუმენტაციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე , კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული (მაგ. მოთხრობა, არგუმენტირებული ესე, ავტობიოგრაფიული ტექსტი, პირადი მოსაზრების გამომხატველი ორიენტირებული ესე, საინფორმაციო-ანალიტიკური ტექსტი, რეპორტაჟი), რომ მათი განხორციელებისთვის საჭირო აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ინტერვიუებისა და დოკუმენტების გაცნობის შედეგად შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის პედაგოგები განსაკუთრებულ დროოსა და ყურადღებას უთმობენ ყველა მოსწავლის ჩართვას სწავლა--სწავლების პროცესში მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით, იცნობენ და იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს. მასწავლებლები, ხშირ შემთხვევებში, დავალების პირობის შემუშავებისას ცდილობენ, მოსწავლეს ჰქონდეს სხვადასხვა არჩევანი ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას; ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტის მრავალფეროვნებას. სწავლის პროცესი და შინაარსი ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, დავალების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლას გაწერილი აქვს შინ სწავლების მომსახურების პირობები. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის დამტკიცებულ სასკოლო გეგმაში, ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა , შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები, დოკუმენტში განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა კათედრამ წარმოადგინა და გასაუბრებისას ისაუბრეს შეფასების ფორმებზე და მეთოდოლოგიაზე. წარმოდგენილი შეფასების განმავითარებელი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიადან, ასევე სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივი კათედრები აჯამებენ წლის განმავლობაში მოსწავლეების მიერ მიღწეულ შედეგებს და სწორედ ამაზე დაყრდნობით ხდება ახალი სასწავლო წლის დაგეგმვა. სკოლა ასევე ჩართული იყო ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში ,,თვითშეფასება განვითარებისთვის". სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდებოდა დიაგნოსტიკური გამოცდები როგორც მათემატიკაში, ისე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური წერების შედეგების ანალიზი, რის საფუძველზე იგეგმებოდა სამომავალო ინტერვენციები. ასევე წარმოადგინა რეფლექია და შედეგების ანალიზის შედეგად დაგეგმილი სამომავლო ინტერვენციები, როგორც მთელი კლასისათვის, ასევე კლასის მცირე ჯგუფებისათვის, კონკრეტული მოსწავლისათვის და თავისი პროფესიული განვითარების საჭიროებისათვის. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის კურიკულუმები საშუალო საფეხურზე
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი
- გეოგრაფიის,მოქალაქეობის,ისტორიის კურიკულუმები
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▌შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესის იმგვარ განხორციელებაზე, რომ მოსწავლეს მიეცეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა. ამისათვის კი აქტიურად იყენებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, პროექტებს და სხვა აქტტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ამ მიმართულებით გააქტიურებას და უნარების განვითარებას. მათ მიერ საფეხურის ფარგლებში შექმნილი დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის, მოსწავლემ საკუთარი პროდუქტის შექმნით გაიაზროს რატომ და როგორ სწავლობს.

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია ისეთი ტიპის დავალებები, რომელზე დაფუძნებითაც იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, სადაც მოსწავლე თავისუფალია გამოთქვას საკუთარი აზრი, აღმოჩენებით მივიდეს სასწავლო შედეგამდე, თავად დააგეგმაროს და მართოს სასწავლო პროცესი, კრიტიკულად გაიაზროს პროცესები, შექმნას ორიგინალური პროდუქტი, თანმიმდევრულად ააგოს ცოდნა. მასწავლებლები სასწავლო პროცესის მანძილზე ასრულებენ გზამკვლევის ფუნქციას, სთავაზობენ მოსწავლეებს შესაბამის საკითხებს, აქტივობებს, რესურსებს. სკოლაში ფუნქციონირებს მათემატიკის კლუბი, რომელიც სთავაზობს მოსწავლეებს ინტერესების მიხედვით საინტერესო პროექტებს და ღონისძიებებს. ინტელექტუალურ შეჯიბრებებს ,,ტვინების ბრძოლა“ მათემატიკის დღესთან დაკავშირებული მათემატიკის კვირეული, სკოლის მე10-მე-11 კლასელებმა ჩაათარეს მათემატიკური კვირეული ,,სახალისო მათემატიკა“ კათედრას აქვს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში წარმატებული ჩართვის კარგი გამოცდილება, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს დირექციისგან და პედაგოგებისგან გამოითქვა კლუბური და საპროექტო იდეების მიმართულებით კიდევ უფრო ძლიერი მხარდაჭერის სურვილი. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ინტერვიუებიდან ჩანს, სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ისე წარიმართება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, მოახეროს ამ ყველაფრის ტრანსფერი. დავალებები სხვადასხვა საგნის ფარგლებში, ეხმარება მოსწავლეებს, ნაცნობ თემაზე მუშაობით შეიძინონ ახალი საგნობრივი ცოდნა და უნარები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს მტკიცებულებების სახით შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, სადიაგნოსტიკო ტესტის ნიმუშები და მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები. ყველა ამ მტკიცებულებებს და ინტერვიუებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ-საშუალო საფეხურზე, სხვადასხვა საგნის სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გამახვილებულია ყურადღება სწავლის სწავლაზე. პედაგოგები ცდილობენ მაქსიმალურად გააქტიურონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარები. კურიკულუმებში თანდართულია მოსწავლის თვითშეფასებისათვის დასმული კითხვები, რომლებზეც პასუხები მოსწავლეს სწავლის სწავლაში დაეხმარება. ასევე, მასწავლებლების ინტერვიუდან იკვეთება, რომ კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებელი სვამს ისეთ კითხვებს, რომელიც იწვევს სამუშაოს შესახებ მოსწავლის რეფლექსიას, გააზრებას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ კარგად, როგორ წარიმართა სწავლის პროცესი, რა გამოცდილება შეიძინა, რა აღმოჩენა გააკეთა, რას შეცვლიდა ნამუშევრის ხელახლა დაწყების მომენტისთვის - მოცემული კითხვები ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლის მიერ პროდუქტის წარმოდგენისას იმ პროცესებზე, როგორ და რა გზით მიდის მოსწავლე მიზნამდე, რა ეხმარება პროდუქტის შექმნაში, რას შეცვლიდა. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საშუალო საფეხურის ფარგელბში წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.საშუალ საფეხურის ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს როგორც დეკლარაციული ცოდნის მიღებას, ასევე მის გარდაქმნას პირობისეულ ცოდნად. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მაგალითებიდანაც მკაფიოდ ჩანს, საკითხის გააზრება ხდება რეალური, ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული მაგალითებით. დავალებები და აქტივობები კი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება ცოდნის სამივე კატეგორიას დაეუფლოს. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმეტებიდან ჩანს, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად. გრძელვადიანი მიზნები, კონტესტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა წინარე და ახალი ცოდნის, სხვა საგნებთან კავშირისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების საშუალებას. ინტერვიუების დროს პედაგოგეგბმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ისეთ აქტივობებს, რომელიც სხვადასხვა საგნობრივი ცოდნის ურთიერთდაკავშირებაში ეხმარება მოსწავლეებს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანთა ინტეგრირება და პროექტული სწავლება. მაგალითად, სკოლაში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მოსწავლეებში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების დანერგვის ფარგლებში. იმსჯელეს როგორ აემაღლებინათ ცნობიერება მოსწავლეებში მდგრადი განვითარების მიმართულებით და როგორ დაეკავშირებინათ საგნობრივ ცოდნასთან, ამ ეტაპზე დაგეგმეს და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს ამ მიმართულებით, ამ მიმართულებით გაიხსენეს, რამდენიმე სამაგალითო პროექტი და აქტივობა. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები საშუალო საფეხურზე
- შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მატრიცის ნიმუშები ქიმიაში საშუალო საფეხურზე

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საშუალო საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მათთან ინტერვიუების შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა გაიხსენეს დავალებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს, მოსწავლეს, მიიღოს კონკრეტული ცოდნა, ასევე განაზოგადოს და განსხვავებულ კონტექსტებშიც გადაიტანოს ის. სკოლას აქვს მზაობა საგნობრივმა კათედრებმა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, შედგეს კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და დაიგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება და დრო ეთმობა მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვას.ამმისათვის პედაგოგები გეგმავენს სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლეს, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, იმსჯელოს, გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება, გამოხატოს ემპათია, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები და დავალებამდე მისასვლელი აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრონციპია. სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება რომელიც ასევე ემსახურება პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას. აღსანიშნავია კათედრის ჩართულობა სასკოლო პროექტში ,,ერთიანობა და მრავალფეროვნება“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით პროექტის შინაარსი და განსახორციელებელი აქტივობები შესაბამისობაშია ისეთი კომპეტენციების გააზრებასთან, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პასუხისმგებლობები, კონფლიქტების მართვა, განსხვავებულობის აღქმა და ა.შ. ამ და სხვა მნიშვნელოვან ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების მნიშვნელობასა და ხელშემწყობ აქტივობებზე ისაუბრეს ინტერვიუს დროს პედაგოგებმა და გაგვიზიარეს მათი გამოცდილება. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
სკოლაში მოქმედ კათედრებს წარმოდგენილი აქვთ სტანდარტის შედეგებზე მორგებული შეფასების რუბრიკები (ზეპირმეტყველების, წერითი დავალების, პროექტის...), რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კომპლექსური დავალებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშების შემუშავებისას პედაგოგებმა გაითვალისწინეს ის, რომ შეფასება მოიაზრებს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც, ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარი. განხორციელებული სასკოლო პროექტი „ ერთიანობა და მრავალფეროვნება“ მოიცავს მოსწავლის პიროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარების აქტუალურ ასპექტებს. , ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებას შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიუების დროს კათედრებმა ისაუბრეს, რომ გეგმავენ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმების დახვეწას.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს შეფასების ორივე ტიპი დანერგილი, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, მასწავლებელი ეყრდნობა სახელმძღვანელოში მოცემულ შეფასების რუბრიკებსაც, საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასებაც და ურთიერთშეფასებები, წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ ურთიერთშეფასებებს. სკოლას ასევე აქვს სადიაგნოსტიკო წერის და ანალიზის გამოცდილება მათემატიკასა და ქართულში, ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამის მრავლშრიანი შეფასების სისტემის მხარდაჭერის პროექტში
უცხოური ენების კათედრის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. **(შეესაბამება)**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ჩანს, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგები შეფასების სისტემას ხედავენ, როგორც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტს. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ იმ კრიტერიუმებს, რომლითც შეფასდება მათი ნამუშევრები. ხშირად ხდება ისეც, რომ მოსწავლეებიც მონაწილეობენ ამ კრიტერიუმების შექმნაში. კრიტერიუმები თვალსაჩინოებისთვის გამოკრულიც არის საკლასო სივრცეში, რაც მოსწავლეებს უქმნის სანდოობის და გამჭვირვალობის განცდას. პედაგოგები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ვალიდურობაზე (სწორადაა თუ არა შერჩეული შეფასების აღმწერი კრიტერიუმები); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოდგენილ რუბრიკებში გათვალისწინებულია კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან,.ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას და ობიექტურობას. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მასწავლებლები კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენების კათედრას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა.
სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის შეფასების სისტემის აღწერასთან ერთად გაწერილია შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარებისას და აღდგენისას დაწესებული მოთხოვნები, გამოცდების ჩატარების ტიპები და პროცედურები, ასევე ქულების გამოანგარიშების წესები. ამავე დოკუმენტში ინტეგრირებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმიც. დოკუმენტის მიხედვით, პროცესი '' შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. სემესტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ. წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს).კურიკულუმებთან ერთად მაწავლებლებმა დაწყებით საფეხურზე წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. (**შეესაბამება**)

ინდიკატორი 5. საშუალო საფეხურზე შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ზოგადად აღწერს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ოცემული დოკუმენტი იძლევა საშუალებას, სკოლამ დადგინოს, რამდენად სწორად არის შედგენილი და გამოყენებული შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა და განმავითარებელი შეფასების ფორმები, რამდენად სწორად ახდენს სკოლა მოსწავლეების შეფასებას. მასწავლებლები ეცნობიან მეთოდური ლიტერატურის მიხედვით შემუშავებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე იყენებენ ქოუჩინგის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას. წორედ მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის გამოსავლენად იგეგმება დიაგნოსტიკური ტესტირებები და მათი ანალიზი. ეფასების ავთენტურობისათვის სკოლა მიმართავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, შესაბამისი უკუკავშირების გაცემას, პროფესიულ მხარდაჭერას. ნტერვიუს დროს გამოიკვეთა, დირექცია გეგმავს, დააკონკრეტოს ვერიფიკატორები და მათი ფუნქციები სხვადასხვა პროცესის/გარემოებების დროს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. (**შეესაბამება**)

ინდიკატორი 6. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი) და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები საბუნებისმეტყველო საგნებში
- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მასალები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების მასალები
- სკოლის ფბ გვერდი
- გეოგრაფიის,მოქალაქეობის,ისტორიის შეფასების რუბრიკები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრასთან ინტერვიუებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე **(სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანა წესი და სხვ.)** დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. **(შეესაბამება)**

2. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი 2023-2024 სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **(შეესაბამება)**

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო **კურიკულუმები** ცხადყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. **(შეესაბამება)**

4. -სკოლის შინაგგანა წესი, მასწავლებლებთან ინტერვიუ და აგრეთვე სხვა დოკუმენტცია ცხადყოფს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი და სასწავლო პროცესში პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო, მართლაც, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანა წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▌შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც, მომავალ სასწავლო წელს ანალიზს გაუკეთებს სასკოლო კურიკულუმების დანერგვას, განხორციელებას და მონიტორინგს. კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე მოხდება იმის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და რამდენად გადის სასურველ შედეგებზე. დაგეგმილია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით; დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტად კათედრას შერჩეული აქვს კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით. დიაგნოსტიკისთვისასევე გამოყენებული იქნება მოსწავლის მხრიდან საკუთარი მიღწევების თვითშეფასების ფორმატიც. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. ასევე მასწავლებელთა სწავლების ხარისხზე დაკვირვება და ამ ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების გაცემა. სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას და არა ხარვეზების მარკირებას;სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება და დანერგვა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა. **(შეესაბამება)**

3. პედაგოგები აღნიშნავენ,რომ მიმდინარე ეტაპზე კურიკულუმის მონიტორინგი/შეფასება დანერგვის ეტაპზეა, სასწავლო პროცესში ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ანალიზი, შედეგების შეფასება ხდება კათედრების დონეზე, რაც ეხმარება ეხმარება სკოლას პრობლემების მოგვარებასა და სამოქმედო მიზნების განსაზღვრაში. სამომავლოდ სკოლას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებით შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვები; კურიკულუმში წინარე წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება მოხდება ურთიერთდასწრების ანალიზებისა და შეფასების მასალების საფუძველზე; **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება საგნობრივი მიმართულებით შემუშავებული შეფასების რუბრიკები , კვლევა, დაკვირვება, შემაჯამებელილის დავალებების ანალიზი. სკოლასაქვს მზაობა, სამომავლოდ, გამოიყენოს კიდევ უფრო მრავალფეროვანი რესურსები .იგეგმება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის გაზრდა. ასევე, სხვადასხვა ხასიათის თვისებრივი, სტატისტიკური და ა.შ ანალიზის შემცველი დოკუმენტაციის წარმოება.**(შეესაბამება)**

2. სასწავლო პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს აკვირდება და აფასებს სხვადასხვა კონტექსტში:. ამისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური საკლასო გარემო , დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, , ასევე არაფორმალური აქტივობები, მაგ.: ექსკურსიები, გასვლით გაკვეთილები, რის საფუძველზეც მასწავლებელს გამოაქვს დასკვნები და აფასებს მოსწავლეებს. სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასება ემსახურება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. **(შეესაბამება)**

3. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. სკოლაში დანერგილია ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება, სამომავლოდ, ამ მიმართულებით, სკოლა გეგმავს შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას და გაძლიერებას. **(შეესაბამება)**

4. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ რომ მოსწავლეთა შეფასებისას გასათვალისწინებელია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა: მოსწავლის ინტერესები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა,სასკოლო თუ არასასკოლო გარემო . შეფასებისას მულტიფაქტორული მიდგომების გამოყენება იძლევა სასწავლო პროცესში დიფერენცირების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▌შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში დანერგილი პრაქტიკის მიხედით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფიძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების მიზნებს; სკოლას აქვს მზაობა, უკვე არსებული რეფლექსიების საფუძველზე, დოკუმენტურად ასახოს ის მიგნებები და რეკომენდაციები , რაც სკოლისთვის ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია და შეიმუშაოს ინდივიდუალური პაკეტი სამუშაო და სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებითა და რჩევებით. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. პედაგოგები აღნიშნავენ,რომ მიმდინარე ეტაპზე მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები, კერძოდ, მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების მონაცემები და ა.შ. სამომავლოდ აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
- საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

▌ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. **დანართი N1 - ექსპერტიზის დასკვნა**
2. **დანართი N2 - წერილი**
3. **დანართი N3 - წერილი**
4. **დანართი N4 - ფოტოსურათები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თარიღი:
21 ნოემბერი, 2023

1. **თავმჯდომარე:**

   ცირა ნიკოლაშვილი

   წევრები:

2. **მარი ფალელაშვილი**

3. **ირმა ავალიანი**

4. **მზია კიპაროიძე**

5. **ინგა გელაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. ნაია ენდელაძე

7. ნათია დაბრუნდაშვილი

8. მაკა ინაშვილი

9. ხათუნა გერგაია

10. ქეთევან ბორაშვილი

11. ნინო მახარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---